ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 17

20 ნოემბერი, 2018 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, გ. გოცირიძე, ნ. ვაჩეიშვილი, ა. ლაშხი, ბ. დავითულიანი, ვ. ძნელაძე, ე. კუხიანიძე, ქ. ჯოხაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე, საკრებულოს წევრები:

1. გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. ლევან ჯაფარიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ავთანდილ ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. დავით ჭელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. შალვა ოგბაიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. გიორგი მუსხელიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. დავით რურუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ლევან მიქაია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. ირაკლი გვილავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
4. ზაზა ცინაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
5. მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (№12-0318319154-03; 15.11.2018).**

მომხსენებელი: ბატონი გაიოზ თალაკვაძე
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებსა და დამსწრე პირებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს წარმოადგენდა ბატონი გაიოზ თალაკვაძე, რომლის განმარტებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პირველადი პროექტით 2019 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 871 631 500 ლარით, რაც 2018 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 10 022 500 ლარით მეტია. 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში თანხები პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა–აღდგენა _ 105 858,5 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება _ 173 797,7 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება _ 92 996,0 ათასი ლარი;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა _ 5 897,0 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება _ 20 648,1 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა _ 191 030,7 ათასი ლარი;

- განათლება _ 159 063,2 ათასი ლარი;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა _ 21 593,4 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება _ 3 608,8 ათასი ლარი;
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები _ 97 138,1 ათასი ლარი.

საქალაქო სამსახურის უფროსის მიერ ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდებოდა და დეპუტატებს მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურების წარმომადგენლებისგან შეეძლებათ დეტალური ინფორმაციის მიღება.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა გიორგი ჩაკვეტაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი პირველადი სახისაა და მისი განხილვისას გათვალისწინებული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ წარდგენილი რეკომენდაციები.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ის თანხები, რომლებიც გამოყოფილია განათლებისა და კულტურის სფეროებზე მიმართულია თითოული მოქალაქისაკენ. როგორც დეპუტატმა აღნიშნა, საბიუჯეტო თანხების ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის განსაზღვრისთვის, აუცილებელია გამოიყოს რამდენიმე კრიტერიუმი, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მოქალაქეთა ჩართულობა, აგრეთვე, სხვადასხვა პროექტებისა და ღონისძიებების დედაქალაქის მასშტაბით გეოგრაფიული განშლა.

ქალბატონი თამარ ტალიაშვილის თქმით, გასულმა წელმა ცხადჰყო, რომ განათლებისა და კულტურის მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი და პროგრამა განხორციელდა, მათ შორის, ქალაქ თბილისის მუზეუმების სერვისის რადიკალური გაუმჯობესება; იურიდიული კლინიკის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა; ,,ბიგ ბენდისა" და თანამედროვე ბალეტის სერვისების ხელმისაწვდომობისა და ბენეფიციართა რაოდენობის მატება, მისი თქმით, ამ პროექტების საჭიროება მოქალაქეთა კმაყოფილებით დასტურდება. დეპუტატმა წინადადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს - თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას, აქცენტები გაკეთდეს წარმატებული პროექტების შენარჩუნებასა და გაგრძელებაზე. დეპუტატმა აღნიშნა, რომ მიესალმება ჩამოთვლილი პროგრამების არათუ შენარჩუნებას, არამედ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში მათთთვის განკუთვნილი ასიგნებების ზრდას.

ქალბატონი თამარ ტალიაშვილის თქმით, განათლებული ახალგაზრდობა არის ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის საფუძველი და შესაბამისად, განათლების მიმართულებით ხაზი უნდა გაესვას პროფესიული განათლების ხელშეწყობასა და ზოგად და უმაღლეს განათლებაში მუნიციპალიტეტის ჩართულობით, ბენეფიციართა რაოდენობის ზრდას.

კომისიის თავმჯდომარემ კულტურულ ღონისძიებებსა და მათ გეოგრაფიულ განშლასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის კომისია მჭიდროდ თანამშრომლობს თბილისის რაიონების მაჟორიტარ დეპუტატებთან და არსებობს ერთობლივი პოზიცია, რომ გარეუბნების გამოცოცხლებისთვის მნიშვნელოვანია მათი ჩართულობის ზრდა კულტურულ ღონისძიებებში. დეპუტატის თქმით, აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია რუკისა და კალენდრის შექმნა, რომელიც წლის განმავლობაში უზრუნველყოფს გარეუბნების მაქსიმალურ ჩართულობას კულტურულ პროექტებსა და ღონისძიებებში.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვლიმა ყურადღება გაამახვილა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ. მისი თქმით, წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად იზრდება აღნშნული სფეროს ხელშეწყობა - 2014 წლის ბიუჯეტთან შედარებით, 2019 წლის ბიუჯეტი ათეულობით მილიონი ლარით არის გაზრდილი, ხოლო 2018 წელთან შედარებით თითქმის 37 მილიონი ლარით. დეპუტატის განმარტებით, აღნიშნული დინამიკა და დაფინანსების რაოდენობა მეტყველებს მუნიციპალიტეტისთვის სკოლამდელი აღზდა-განვითარების პრიორიტეტულობაზე, რომლის ფარგლებში იზრდება აღსაზრდელთა რაოდენობა და 2019 წელს მათი რაოდენობა 65 000-ს მიაღწევს, ასევე, იზრდება საბავშვო ბაგა-ბაღების რაოდენობა, ინერგება ახალი სასწავლო-სააღმზრდელო მეთოდიკა, თუმცა, მისი თქმით, სასურველია, რომ აღნიშნული რეფორმების კვალდაკვალ გაუმჯობესდეს საბავშვო ბაგა-ბაღებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მაჟორიტარ დეპუტატებსა და განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებთან მსჯელობის შედეგად ჩამოყალიბდა შემდეგი რეკომენდაციები:

- განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს, რომ 2019 წელს დასრულდეს წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული თბილისის კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის პროცესი. აღნიშნული სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის საჭიროებას კომისიამ გასულ წლებშიც არაერთხელ გაუსვა ხაზი, რის შედეგადაც 2018 წელს ჩატარდა მოქალაქეთა ინტერესების კვლევა, რომლის შეფასება-ანალიზის ეტაპი დასრულებულია.

- განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს კულტურის ობიექტების, მათ შორის, ხელოვნების სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებისა და ბიბლიოთეკების მოდერნიზების პროცესის გაგრძელებას, მათი ფუნქციონირებისა და საქმიანობის თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანას.

- განათლებისა და კულტურის კომისია, რეკომენდაციას უწევს, 2019 წლის ბიუჯეტში აისახოს ფინანსური რესურსი 2 მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობისთვის, რომელთა პროექტები მომზადდა 2018 წლის ბიუჯეტის ფარგლებში.

- განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს, რომ მულტიფუნქციურ ცენტრებში წარმატებული საერთაშორისო მოდელების მსგავსად გათვალისწინებული იყოს სივრცე ხელოვნების სკოლებისა და ბიბლიოთეკებისთვის. დედაქალაქის გარეუბნების გაცოცხლების მიზნით, განათლებისა და კულტურის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, კულტურულმა პროექტებმა და ღონისძიებებმა მაქსიმალურად დაფარონ და მოიცვან თბილისის გარეუბნები. აღნიშნული მიზნის მიღწევისთვის, განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს კულტურული ღონისძიებების გეოგრაფიული რუკისა და წლის კალენდრის შექმნას, რომლის მიხედვითაც მოხდება ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხების გადანაწილება.

- კონცერტებისა და სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად, დარბაზების საიჯარო ხარჯების დაზოგვის მიზნით, განათლებისა და კულტურის კომისია, 2015 წლიდან აყენებს მუნიციპალური საკონცერტო დარბაზის დაფუძნების საჭიროების საკითხს. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საკითხის მულტიფუნქციურ ცენტრების კონცეფციაში გათვალისწინება.

- თბილისის საჯარო საბავშო ბაგა-ბაღებში თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული წარმატებული რეფორმების კვალდაკვალ, განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს, განხორციელდეს საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლების სახელფასო განაკვეთების ზრდა.

- განათლებისა და კულტურის კომისიას მარტოხელა მშობელთა ბავშვებისთვის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობის ზრდის უზრუნველყოფისთვის, მიზანშეწონილად მიაჩნია მათთვის რეგისტრაციისას უპირატესობით სარგებლობის უფლების მინიჭება.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

გაიოზ თალაკვაძემ, გიორგი ჩაკვეტაძემ, თამარ ტალიაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (წერილი: № 12-0318319154-03) მიმართ შემდეგი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარდგენის შესახებ:

- განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს, რომ 2019 წელს დასრულდეს წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული თბილისის კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის პროცესი. აღნიშნული სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის საჭიროებას კომისიამ გასულ წლებშიც არაერთხელ გაუსვა ხაზი, რის შედეგადაც 2018 წელს ჩატარდა მოქალაქეთა ინტერესების კვლევა, რომლის შეფასება-ანალიზის ეტაპი დასრულებულია.

- განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს კულტურის ობიექტების, მათ შორის, ხელოვნების სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებისა და ბიბლიოთეკების მოდერნიზების პროცესის გაგრძელებას, მათი ფუნქციონირებისა და საქმიანობის თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანას.

- განათლებისა და კულტურის კომისია, რეკომენდაციას უწევს, 2019 წლის ბიუჯეტში აისახოს ფინანსური რესურსი 2 მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობისთვის, რომელთა პროექტები მომზადდა 2018 წლის ბიუჯეტის ფარგლებში.

- განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს, რომ მულტიფუნქციურ ცენტრებში წარმატებული საერთაშორისო მოდელების მსგავსად გათვალისწინებული იყოს სივრცე ხელოვნების სკოლებისა და ბიბლიოთეკებისთვის. დედაქალაქის გარეუბნების გაცოცხლების მიზნით, განათლებისა და კულტურის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, კულტურულმა პროექტებმა და ღონისძიებებმა მაქსიმალურად დაფარონ და მოიცვან თბილისის გარეუბნები. აღნიშნული მიზნის მიღწევისთვის, განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს კულტურული ღონისძიებების გეოგრაფიული რუკისა და წლის კალენდრის შექმნას, რომლის მიხედვითაც მოხდება ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხების გადანაწილება.

- კონცერტებისა და სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად, დარბაზების საიჯარო ხარჯების დაზოგვის მიზნით, განათლებისა და კულტურის კომისია, 2015 წლიდან აყენებს მუნიციპალური საკონცერტო დარბაზის დაფუძნების საჭიროების საკითხს. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საკითხის მულტიფუნქციურ ცენტრების კონცეფციაში გათვალისწინება.

- თბილისის საჯარო საბავშო ბაგა-ბაღებში თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული წარმატებული რეფორმების კვალდაკვალ, განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს, განხორციელდეს საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლების სახელფასო განაკვეთების ზრდა.

- განათლებისა და კულტურის კომისიას მარტოხელა მშობელთა ბავშვებისთვის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობის ზრდის უზრუნველყოფისთვის, მიზანშეწონილად მიაჩნია მათთვის რეგისტრაციისას უპირატესობით სარგებლობის უფლების მინიჭება.

მომხრე _____	7
წინააღმდეგი _____	1 **(კომისიის წევრი, ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი)**
თავი შეიკავა _____	0

ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს: განათლებისა და კულტურის კომისიის შენიშვნები და რეკომენდაციები გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას შემდგომი განხილვისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თამარ ტალიაშვილი